საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN2

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

13 იანვარი 2021 წელი

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5. გიორგი ბარათაშვილი, 6. ჯემალი ისაკაძე,7. დავით ცხადაძე, 8. ნატალია ასათიანი, 9. რუსუდან კოვზირიძე;

სხდომას არ ესწრებოდა: 0

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე, საკრებულოს აპარატის იურისტი-გულადი აბჟანდაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 9 წევრი.
კვორუმი: 5 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 9 წევრი.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირები) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები:მომხრე 9, წინააღმდეგი-არცერთი

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

განმარტა, რომ დადგენილების პროექტის შემუშავების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში" ასახული ცვლილებები თანამდებობის პირებთან დაკავშირებით, რაც შესაბამისობაში უნდა იყოს კანონმდებლობასთან.

აზრი გამოთქვეს: დავით ცხადაძემ,ჯემალი ისაკაძემ;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი 0

გადაწყვიტეს: მხარდაჭერილ იქნას საკრებულოს დადგენილების პროექტი რეგლამენტში ცვლილებების შეტანის თაობაზე და წარდგენილ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

2.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირები) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; განუმარტა კომისიის წევრებს,რომ ვინაიდან საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება გამომდინარეობს საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს ოდენობიდან, კორექტირება გამოიწვია სწორედ ამ ცვლილებამ.ნაცვლად 397.50 ლარისა ის გაიზარდა 676.50.ლარით. საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობა (ზღვრული ოდენობა) საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველებთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისთვის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ოდენობა (ზღვრული ოდენობა) განისაზღვრება 676.5 ლარით."

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბარათაშვილმა, რუსუდან კოვზირიძემ;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი 0

გადაწყვიტეს: მხარდაჭერილ იქნას საკრებულოს დადგენილების პროექტი,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირები) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე და წარდგენილ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: